# ამბროლაური

## წარმატებული ინვესტიცია უნიკალურ გარემოში



## ამბროლაურის მუნიციპალიტეტის

## საინვესტიციო პროფილი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC

With funding from
Austrian
Development
Cooperation

UNDP



საინვესტიციო პროფილი მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (AYEG) და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს (LDA Georgia) მონაწილეობით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის "რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში - ფაზა 2 (FRLD 2)" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით.

წინამდებარე გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი.

LDA GEORGIA

AYEG
საქართველოს ახალგაზრდა
ეკონომისტთა ასოციაცია



# ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მიმართვა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრია და მასში შემავალი ყველა დასახლება მაღალმთიანის სტატუსს ოფიციალურად ატარებს. მოსახერხებელი გეოგრაფიული მდებარეობის და გამორჩეული ბუნებრივი მახასიათებლების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტს დიდი პოტენციალი გააჩნია მზარდი ეკონომიკური და საინვესტიციო საქმიანობის განსახორციელებლად. კერძოდ, სოფლის მეურნეობის სფეროში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებისათვის, ტურიზმის მრავალმხრივი მიმართულებების და სამეწარმეო საქმიანობის განსავითარებლად.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ადგილმდებარეობა, თანამედროვე კომუნიკაციები და ინფრასტრუქტურა, კლიმატური პირობები, ხელუხლებელი ლანდშაფტი და ბუნებრივი რესურსები, უნიკალური ფლორა და ფაუნა, კულტურულ-ისტორიული და ეთნოგრაფიული დანიშნულების ძეგლები, ასევე ადგილობრივი წარმოშობის ვაზის ბრენდირებული ღვინო - ხვანჭკარა, რაჭული ლორი, ეკოლოგიურად სუფთა თაფლი, მსოფლიოში ცნობილი რაჭული სოჭის გირჩი უნიკალური სამკურნალო თვისებებით, კარსტული მღვიმეები და ისტორიულად სტუმართმოყვარე მოსახლეობა მუნიციპალიტეტს საინვეტიციო პროექტების განსახორციელებლად მიმზიდველს ხდის სხვადასხვა სფეროში.

ჩვენს მუნიციპალიტეტში ბიზნესის წამოწყების შესაძლებლობებს ზრდის მაღალმთიანი დასახლების სტატუსი, რაც სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებისას ხელსაყრელ შეღავათებს აწესებს.

ჩვენი სპეციალისტების მიერ შემუშავებული, სტრატეგიული, ეკონომიკური და საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტებით მრავალი საინტერესო პროექტი ხორციელდება და იმედი გვაქვს, რომ საინვესტიციო პროფილის დოკუმენტიც იქნება ინვესტორებთან მყარი, ნაყოფიერი თანამშრომლობის დასაწყისი და ჩვენს მუნიციპალიტეტში მზარდი ეკონომიკის გარანტი.

ზვიად (დავით) მხეიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი

# ინვესტიციების განხორციელების 8 ძირითადი გარემოება

## რატომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტი?



1 რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი და საქალაქთაშორისო აეროპორტი



2 ჯანსაღი ეკოლოგიური გარემო და უნიკალური ბუნება - ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის შექმნის წინაპირობა

3 ტყის რესურსების ბიომრავალფეროვნება და სამკურნალო მცენარეების მდიდარი რესურსები



4 მრავალფეროვანი წიაღისეული და წყლის რესურსები მაღალი საწარმოო, ენერგეტიკული და რეკრეაციული პოტენციალით

5 მაღალმთიანი დასახლების სტატუსი და მასთან დაკავშირებული შეღავათები ბიზნესისთვის



6 ვაზის უნიკალური ჯიშები და ღვინის წარმოების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება - ხვანჭკარის მიკროზონა და ღვინო „ხვანჭკარას" საერთაშორისო ცნობადობა

7 სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოყვანის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია



8 ტურიზმის მრავალფეროვანი მიმართულებების განვითარების პირობები და შაორის წყალსაცავის რესურსი



# ისტორია და მდიდარი ტრადიციები

- 1907 წელი - ადგილობრივი წარმოშობის ღვინო „ხვანჭკარამ“ პირველი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა ევროპაში, ბელგიის ქალაქ ოსტენდეში ბელგიის მეფე ლეოპოლდის ჯილდო გადაეცა
- 1966 წელი - ამბროლაურს ქალაქის სტატუსი მიენიჭა
- 21 საუკუნის დასაწყისი - მსოფლიო აღიარება ჰპოვა რაჭული სოჭის გირჩის ნედლეულზე დამზადებულმა სამედიცინო და კოსმეტიკურმა საშუალებებმა
- რაჭული ცეკვა - ქართული ნაციონალური საბალეტო ცეკვის გამორჩეულ და იშვიათ მოვლენად იქცა
- 2014 წელი - ნაქერალას უღელტეხილზე აღმოჩენილია მსოფლიოში ერთერთი ყველაზე გამორჩეული და უიშვიათესი ნაღვენთი მღვიმე
- 2016-2017 წლები - აშენდა საქალაქთაშორისო აეროპორტი
- 2019 წელი - კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა სოფელ გოგოლათს - უნიკალური მდებარეობა და გამორჩეული რაჭული ოდა სახლები
- 2019 წელი - აღმოჩენილი იქნა ზამთრის სეზონისათვის უნიკალური სათხილამურო ტრასები
- 2019 წელი - აშენდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტადიონი
- ტრადიციულია ლორის გამოყვანის უნიკალური მეთოდი, რის შედეგადაც მიიღება იშვიათი გემური თვისებების მქონე შებოლილი ლორი, რომელსაც მოიხმარენ დამოუკიდებლად ან ამატებენ ლობიანს



## მუნიციპალიტეტის ზოგადი მახასიათებლები

მოსახლეობის რაოდენობა **12 151**

ქალი - **51.4 %**
კაცი - **48.6 %**
ახალგაზრდები - **28.9 %**

შინამეურნეობების რაოდენობა **4 643**
სამუშაო ძალა **7 678**

## მუნიციპალიტეტის რუკა




ფართობი - **114.200** ჰა

## გეოგრაფია და კლიმატი

### უნიკალური კლიმატი ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტის საწარმოებლად

- მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში, ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე;
- განეკუთვნება მაღალმთიან ზონას;
- კლიმატი გარდამავალია ზომიერსა და ნოტიო სუბტროპიკულს შორის;
- დაბალ მთიანეთში ზომიერად ცივ ზამთრიანი და შედარებით ცხელ ზაფხულიანი ჰავის ტიპია გაბატონებული;
- მაღალმთიანი ზონისათვის უხვ თოვლიანი მთის ნოტიო ჰავაა დამახასიათებელი;
- იანვრის საშუალო წლიური ტემპერატურაა 1,5-4 გრადუსი, ივლისი - 18-24 გრადუსი.

## ადგილმდებარეობა და ბაზარზე წვდომა

2017 წლიდან ფუნქციონირებს ამბროლაურის აეროპორტი;

ქუთაისის დ.აღმაშენებლის სახ. საერთ. აეროპორტი - 101 კმ.;

ფოთის პორტი - 170 კმ.;

მანძილი უახლოეს სარკინიგზო სადგურებამდე:
შესაძლებელია როგორც სამგზავრო გადაყვანა, ასევე ტვირთის გადაზიდვები
ქ.ტყიბული - 39კმ;
ქ.ქუთაისი - 72კმ.

დაშორება დიდ ქალაქებთან:
ქ. თბილისი - 280 კმ;
ქუთაისი - 75,6 კმ.

## ადგილმდებარეობის უპირატესობები

წარმოადგენს რეგიონის ცენტრს;

გამართული ინფრასტრუქტურით არის დაკავშირებული მსხვილ სარეალიზაციო ბაზრებთან.



## ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

ხელმისაწვდომი პროფესიული განათლება და გადამზადების შესაძლებლობები

- ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲯᲘ „ᲔᲠᲥᲕᲐᲜᲘ“
- ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲘ: ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲝᲑᲐ, ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘ, ᲑᲣᲦᲐᲚᲢᲠᲣᲚᲘ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

## ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ

ქალაქში გამართული კომუნიკაციები და სათანადო ინფრასტრუქტურაზე წვდომა

- ᲒᲐᲖᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲞᲠᲝᲔᲥᲢᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ
- ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ:
- ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ
- ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲥᲡᲔᲚᲘ, ᲡᲐᲜᲘᲐᲦᲕᲠᲔ ᲐᲠᲮᲔᲑᲘ, ᲒᲖᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲐᲕᲘ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲘ
- ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲞᲘᲠᲡᲐᲛᲐᲒᲠᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ, ᲛᲝᲔᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲮᲘᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲮᲘᲓᲑᲝᲒᲘᲠᲔᲑᲘ
- ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ.

## ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲐ

უზრუნველყოფილი სათანადო ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა და სერვისები

- ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲞᲠᲝᲤᲘᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ
- 21 ᲐᲛᲑᲣᲚᲐᲢᲝᲠᲘᲐ



## ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

მდიდარი წყლისა და ტყის რესურსები

- ᲢᲧᲘᲗ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 65,2%
- ᲮᲔᲚᲣᲮᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲢᲧᲔᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲐ ᲑᲘᲝᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ
- ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲣᲚᲘᲐ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ



# ეკონომიკის ძირითადი დარგები

- სოფლის მეურნეობა (მეცხოველეობა, მევენახეობა)
- მრეწველობა (ენერგეტიკა, გადამამუშავებელი მრეწველობა)
- ტრადიციულად ვითარდება მემარცვლეობისა და მეფუტკრეობის დარგები
- მრავალწლიანი ნარგავების თითქმის 60%-ზე გაშენებულია ვენახი, დარჩენილ ნაწილზე - ხეხილი და კაკლოვანი კულტურები
- გამორჩეული, ნახევრად ტკბილი, საერთაშორისო დონის ღვინო ,,ხვანჭკარა“ - ქართული მეღვინეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახეობაა
- ეკოლოგიურად სუფთა, განსაკუთრებული გემოვნური თვისებების ხორცისა და რძის წარმოების უნიკალური პირობები
- რაჭული ლორი - რაჭული სუფრის სავიზიტო ბარათი



# მიწის აქტივი და გამოყენების პოტენციალი

**სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსის გამოყენება შესაძლებელია ფერმერული მეურნეობების განსავითარებლად**

- პერსპექტიულია კაკლოვანი კულტურების განვითარება;
- ერთწლოვანი საშემოდგომო კულტურების ჯიშთა გამოყვანისა და სასელექციო მიმართულებით, საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობის შესაძლებლობა;
- სოქის გირჩის მოპოვებისა და გადამუშავების კარგი პოტენციალი.








## არსებული წიაღისეული და ბუნებრივი რესურსები

მდიდარი ასათვისებელი წიაღისეული და ბუნებრივი რესურსები

მდიდარი ჰიდროლოგიური რესურსები მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰესების მშენებლობის პოტენციალი

უხვი ბალნეოლოგიური წყლები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია სამკურნალო დანიშნულებით

| ბუნებრივი რესურსი | მარაგის ოდენობა (ათასი ტონა) |
|---|---|
| რკინა | 72 000 |
| მაგნუმი | 2 180 |
| კირქვა | 7 251 |
| მაგნური ქანები (ბაზალტი) | 107 |
| ქვა-ღორღი | 440,2 |
| საკირე ქვები | 400 |
| სააგურე თიხები | 560 |
| თაბაშირი | 9 981,6 |
| დარიშხანი | 223 |
| სტიბიუმი | 6,6 |
| ქვიშა-ხრეში | დასაზუსტებელია |
| ნახშირი | დასაზუსტებელია |
| მტკნარი წყლები | დასაზუსტებელია |



## მიმდინარე და დაგეგმილი მსხვილი პროექტები

- ინფრასტრუქტურის, ტურიზმისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარება
- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია



- ქალაქ ამბროლაურში სარეკრეაციო ზონის მოწყობა;
- ქრებალო-პატარა ონი-ნიკორწმინდის 25 კმ-იანი საგზაო მონაკვეთის სრული რეაბილიტაცია;
- ტურისტული თავშეყრის ადგილების მშენებლობა;
- ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა;
- ქალაქ ამბროლაურის სტადიონისა და დახურული სპორტული კომპლექსის მშენებლობა;
- ნიკორწმინდის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- მრავალპროფილური პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა;
- ქალაქ ამბროლაურის საგზაო ინფრასტრუქტურის მუდმივი განვითარება;
- საჯარო სკოლების მშენებლობა სასოფლო დასახლებებში.

# ამბროლაურში არსებული ბიზნეს სუბიექტები

- მეფუტკრეობის მზარდი ინტერესი
- ღორის მოშენება სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ტრადიციულ მიმართულებად რჩება

- ხილის გადამამუშავებელი ქარხანა - შპს „გეო ფლაუერი“
- ხე-ტყის გადამამუშავებელი ორი ქარხანა
- პირველადი სასოფლო სამეურნეო წარმოება (კარტოფილი, ლობიო, სიმინდი და სხვა.)
- 4 ღვინის ქარხანა და 13 მარანი
- თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი შპს „რაჭული ღორი“- ცნობილი რაჭული ღორის წარმოება
- მეფუტკრეობის მზარდი დარგი - კოოპერატივი „რაჭის ნატურალური პროდუქტები“- თაფლი, ფუტკრის რძე, ყვავილის მტვერი და ქეო
- წყლის ჩამოსასხმელი საწარმო
- თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი 8 სასტუმრო და 64 საოჯახო ტიპის სასტუმრო







# ამბროლაურის ტურისტული პოტენციალი და ტურისტული ობიექტები

## ტურიზმის მრავალფეროვანი მიმართულებების განვითარების შესაძლებლობა

- აგრო ტურიზმი
- რელიგიური ტურიზმი
- ეკო ტურიზმი
- ექსტრემალური ტურიზმი
- სათავგადასავლო ტურიზმი:
  სამთო-სათხილამურო ტურიზმი
  საცხენოსნო, სამონადირეო ტურიზმი, სამოყვარულო თევზჭერა

## მრავალმხრივი ტურისტული შესაძლებლობები

- ოთხი ტურისტული ბილიკი
- შაორის წყალსაცავი (ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის განვითარების პოტენციალი)
- ველო-ბილიკების, საცხენოსნო ტურების მოწყობის შესაძლებლობა
- დაცული ტერიტორიების შექმნის შესაძლებლობა - უნიკალური ფლორისა და ფაუნის კონსერვაცია
- უნიკალური მღვიმეები
- რაჭული ოდა სახლების განსაკუთრებული და ერთმანეთისგან განსხვავებული ორნამენტული ნაკეთობები, მოჩუქურთმება, ტრადიციული ქურ-მარანი და საწნახელი
- ისტორიული და კულტურული ძეგლების სიმრავლე (არქიტექტურული ღირებულების 103 ძეგლი);

## ბიზნესის ხელშემწყობი გარემო

- საინვესტიციო საქმიანობის ხელშემწყობი საკანონმდებლო ჩარჩო;
- ლიცენზიებისა და ნებართვების მიღების მარტივი პროცედურები;
- ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის მოხერხებული პირობები;
- სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებასთან დაკავშირებული სერვისების ერთი ფანჯრის პრინციპით მიღების შესაძლებლობა;
- თანამშრომლების დასაქმების მოქნილი პირობები.



## დაბალი დანახარჯები ბიზნესისთვის

- ადვილად ადმინისტრირებადი საგადასახადო სისტემა და დავების მოგვარების მოქნილი სტრუქტურა;
- ბიზნესის დაწყების სიმარტივე;
- თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებთან სიახლოვე და ლოჯისტიკის დაბალი დანახარჯები;
- უძრავი ქონების ხელსაყრელი ფასები;



# დაბალი, სამართლიანი და ხელსაყრელი გადასახადები

- რეინვესტირებაზე ორიენტირებული მოგების გადასახადი - 0% ან 15%;
- საშემოსავლო გადასახადი - 20%;
- დამატებული ღირებულების გადასახადი -18%;
- ქონების გადასახადი - 1%;
- იმპორტის გადასახადი - 0%, 5% ან 12% ;
- დივიდენდი – 5%.

- საპენსიო შენატანი - 6% (2% დამსაქმებელი, 2% დასაქმებული, 2% სახელმწიფო)
- ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულებები 55 ქვეყანასთან.

| მოსაკრებელი/გადასახადი | ოდენობა |
|---|---|
| ელექტროენერგია | 0.2108306 კვტ/სთ |
| წყალმომარაგება | კანალიზირებული ობიექტებისთვის 4.3 ლ/ტ.<br>უკანალიზირებული ობიექტებისთვის 3.37 ლ/ტ. |
| ბუნებრივი აირი | 0.95 ლ/კბ.მ<br>0.86 ლ/კბ.მ (მხოლოდ პურის საცხობებისთვის) |
| ნარჩენების მართვის მოსაკრებელი /თვეში/ | 0.015 - 0.8 ლარი - საერთო ფართი 1კვ.მ |
| ქონების გადასახადი | არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო განაკვეთი<br>1 კვ.მ-ზე 0.24 ლარი |
| მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული მოსაკრებელი | 1კვ.მ - 1 ლარი |

# მაღალმთიანი სტატუსის მქონე დასახლებებში ბიზნესის კეთების უპირატესობები

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლება სარგებლობს საქართველოს კანონით „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ განსაზღვრული მაღალმთიანი სტატუსით და დაწესებული შეღავათებით

- მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მქონე ბიზნეს ორგანიზაციებს შეღავათები აქვთ მოგების, ქონების, საშემოსავლო გადასახადებზე.

| გადასახადის სახე | შეღავათი |
|---|---|
| საშემოსავლო გადასახადი | ფიზიკური პირი 6000 ლარამდე გათავისუფლებულია |
| მოგების გადასახადი | გათავისუფლებულია 10 წლით |
| ქონების გადასახადი | სრულად გათავისუფლებულია |




# უძრავი ქონების ბაზარი

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფასი საშუალოდ (1 ჰა.) - 400-800 ლარი.

სახელმწიფოს მიერ საიჯარო ქირა შეადგენს შეფასების 10%-ს წელიწადში.

მუნიციპალიტეტის მიერ საიჯარო ქირა დადგენილია შეფასების 5%-ის ოდენობით.

## არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი - ქალაქის ტერიტორია (1მ$^2$):

| | საბაზრო ღირებულება |
|---|---|
| ცენტრალური ზონა - 16,05 ლარი | ცენტრალური ზონა - 50-60 ლარამდე |
| შუალედური ზონა - 10,06 ლარი | შუალედური ზონა - 30-50 ლარამდე |
| პერიფერიული ზონა -7,05 ლარი | პერიფერიული ზონა -20-40 ლარამდე |

მუნიციპალიტეტის სოფლებში ნორმატიული ფასი - 3,02 ლარი (შუალედურ ზონაში დადგენილი ფასის 30%);

მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია შუალედურ ზონაში დადგენილი ფასის 25% ოდენობით (2,52 ლარი);

შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში ნორმატიული ფასია - 5,03 ლარი;

# სახელმწიფო სერვისები ბიზნესისთვის

ინფორმაციის გაცემისა და კონსულტაციის გაწევისთვის
მუნიციპალიტეტის მერიის მუდმივი მზაობა

## ადგილზე ხელმისაწვდომი სერვისები ბიზნესისთვის:

- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური - შესაძლებელია ინფორმაციის მიღება სამინისტროს მიერ დაგეგმილი პროგრამების შესახებ და ხელშეწყობა მონაწილეობის მისაღებად
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო
- სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
- ა(ა)იპ ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი



# განხორციელებული ინვესტიციები და სახელმწიფო მხარდაჭერა

## ჩამოყალიბებული და მზარდი ინვესტირების კოოპერაციული მიდგომა

რაჭული ლორის წარმოება (შპს „რაჭული ლორი“) - 2016 წელს დაიწყო და 2017 წელს დასრულდა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საწარმოს მშენებლობა სახელმწიფო პროგრამის ხელშეწყობით.

გამხმარი ხილის/ჩირის წარმოება (შპს „გეო ფლაუერი“) - დაფუძნდა 2011 წელს, გაფართოვდა 2014-2016 წლებში. ახორციელებს ექსპორტს გერმანიაში.

თაფლისა და თაფლის პროდუქტების წარმოება (კოოპერატივი „რაჭის ნატურალური პროდუქტი“) – დაარსდა 2014 წელს საერთაშორისო ორგანიზაციის ხელშეწყობით. ახორციელებს ექსპორტს გერმანიაში.

შპს „როიალ ხვანჭკარა“ – 2001 წლიდან აწარმოებს ბრენდულ ღვინო „ხვანჭკარას“. გადის ექსპორტზე უკრაინაში, კანადაში, ჩინეთში, გერმანიასა და ჰოლანდიაში.



## სახელმწიფო ხელს უწყობს ინვესტიციების ზრდასა და ბიზნეს აქტივობის წარმატებას

შპს „იწის წყალი“ ჩამოყალიბდა „აწარმოე საქართველოს“ მხარდაჭერით (800 000$)

შპს „იწის მარანი“ ჩამოყალიბდა სახელმწიფო გრანტით (პროექტის ღირებულება 1 500 000 ლარი, სახელმწიფო გრანტი 600 000 ლარი)

შპს „შატრო ველი“ - მშენებლობა დაიწყო 2017 წელს (პროექტის ღირებულება 1 550, 000 ლარი, სახელმწიფო გრანტი 600 000 ლარი).

შპს „ზედაშე“- პროექტი განხორციელდა ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში (550 000$).

კოოპერატივი „ველიშიორი“ - ხელი შეეწყო პროექტი „დანერგე მომავალის“ ფარგლებში (30 000 ლარი).

კოოპერატივი „ჯვარისა“ - ფუნქციონირებს 2014 წლიდან საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს მხარდაჭერით.

# საქართველოში ინვესტირების უპირატესობები



- ქვეყანა, სადაც ევროპა ხვდება აზიას
- წვდომა 2,3 მილიარდიან ბაზარზე საბაჟო გადასახადების გარეშე
- ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება და DCFTA



- მე-7 ადგილი ბიზნესის კეთების რეიტინგში - პირველი ევროპის ქვეყნებიდან
- მე-6 ადგილი უსაფრთხო ქვეყნების სიაში
- სამუშაო ძალისა და კომუნიკაციების დაბალი დანახარჯები
- მარტივი და დაბალი საგადასახადო ტვირთი სახელმწიფო შეღავათებითა და ბიზნესის წახალისების ინსტრუმენტებით
- ქონების გადასახადი - არ აღემატება 1%-ს
- ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები ხელმოწერილია 33 ქვეყანასთან, ქვეყანა 1992 წლიდან წევრია ICSID შეთანხმების





# ბიზნეს მხარდამჭერი სახელმწიფო შესაძლებლობები

სახელმწიფო ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, ინვესტიციებსა და ექსპორტს

## აწარმოე საქართველოში

- ინდუსტრიული მიმართულება;
- სასტუმრო ინდუსტრია;
- მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა;
- გადაიღე საქართველოში;
- საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი;
- ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია;
- ტურისტული სერვისების ინდუსტრია;

## საპარტნიორო ფონდი

- მიმართულია კერძო ინვესტორების მოზიდვასა და ხელშეწყობაზე;
- კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერა ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, წარმოება და ტურიზმი

## სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო

- შეღავათიანი აგრო კრედიტი და აგრო დაზღვევა; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსება; გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების ხელშეწყობა;
- ბაღებისა და სანერგე მეურნეობების მოწყობის მხარდაჭერა და სხვა სასოფლო სამეურნეო საქმიანობის გააქტიურების სტიმულები.

## საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

- ინოვაციების შექმნის მხარდაჭერა ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის; ტექნოპარკები და ინოვაციების ცენტრები;
- ფაბლაბები - მაღალტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვილი სახელოსნო, რომელიც გთავაზობთ ციფრულ ფაბრიკაციას.
- ბიზნეს ინკუბატორი, IT ტრენინგები, ინოვაციური ბანაკი, სტარტაპ საქართველო და სხვა წარმატებული პროექტები.

## ს. ურავში ყოფილი სააქციო საზოგადოება „ურავის" შენობა-ნაგებობები

### მდებარეობა

ამბროლაური სოფელი ურავი; გზასთან და მდინარე ლუხუნთან სიახლოვე
დასახლებულ პუნქტამდე მანძილი 0,5-1,5 კ.მ.
ხელმისაწვდომია საგზაო ინფრასტრუქტურა, წყალი და ელექტროენერგია



### მესაკუთრე

ცენტრალური ხელისუფლება

### განვითარების პოტენციური მიმართულება

წარსული დანიშნულება - დარიშხანის მოპოვება;
ფუნქციონირებდა ლაბორატორიები და ჰქონდა ადმინისტრაციული ფუნქცია.

## დამატებითი ინფორმაცია:

საინვესტიციო გარემო და შესაძლებლობები საქართველოში (2019):
http://www.enterprisegeorgia.gov.ge

## სასარგებლო ბმულები

| | |
|---|---|
| Invest in Georgia | www.investingeorgia.org |
| საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | www.economy.ge |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | www.mof.ge |
| გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | www.mepa.gov.ge |
| საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | www.mrdi.gov.ge |
| საპარტნიორო ფონდი | www.fund.ge |



**საინფორმაციო წყაროები**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კონტაქტი:
www.ambrolauri.gov.ge
ქ. ამბროლაური
მის: ბრატისლავა-რაჭის ქუჩა N11
595 27 07 43
info.ambrolauri@gmail.com